

ადგილობრივი ინიციატივა/LOCAL INITIATIVE

სტადია.\ STAGE	ძირითადი მიზნები \ KEY GOALS	შეთავაზებები და მეთოდები\ OFFERS AND METHODS
1 ეტაპი. ადგილობრივი ინიციატივის პროცესის მომზადება	1. სამოქმედო გეგმის შემუშავება 2. პარტნიორების და ბენეფიციარების ინფორმირება	- პროექტის ჯგუფის სამუშაო შეხვედრები; გამოცდილების გაზიარება; კონსულტაციები დაინტერესებულ მხარეებთან; - პროექტის შესახებ საინფორმაციო მასალის, ფლაერის მომზადება; შეხვედრების მოწყობა სამიზნე დასახლებებში; შეხვედრების მოწყობა სამიზნე მუნიციპალიტეტის ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებში გადაწყვეტილების მიმღებ პირებთან (შემდგომში მათი პერმანენტული ინფორმირება პროექტის მიმდინარეობის შესახებ); თანამშრომლობის მემორანდუმების გაფორმება სამიზნე მუნიციპალიტეტის მერთან.
2 ეტაპი. გარემოს გამოკვლევა	1. რისკების განსაზღვრა და ანალიზი შესაძლო მაქსიმალური ეფექტის მისაღებად 2. პროექტის სრულყოფილად განხორციელებისათვის შესაძლო დამატებით მოსაზიდი საშუალებების მოძიება.	- სამუშაო არეალის სოციალური, ეკონომიკური, კულტურული მახასიათებლების შესწავლა და მათ საფუძველზე დაგეგმილ საქმიანობებში კორექტივების შეტანა; დაინტერესებული მხარეების ანალიზი და სტრატეგიის შექმნა მათთან სამუშაოდ. - მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გაცნობა; სახელმწიფო, მუნიციპალური და დონორი ორგანიზაციების პროგრამების შესწავლა; რეგიონში მოქმედი და ადგილობრივ განვითარებაზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების საქმიანობის გაცნობა; მუნიციპალიტეტის და რეგიონის ბიზნეს გარემოს გაცნობა.
3 ეტაპი ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფების შექმნა	1. პროცესში თემის ჩართულობის უზრუნველყოფა	- საინიციატივო ჯგუფის წევრების შერჩევის კრიტერიუმების შემუშავება - საერთო კრებაზე (ესწრება ადგილობრივი მოსახლეობის რაც შეიძლება მეტი წარმომადგენელი) შერჩეული კრიტერიუმების მიხედვით მოსახლეობის მიერ საინიციატივო ჯგუფის წევრების დასახელება. სასურველია სიის შედგენა და მოსახლეობის მხრიდან ხელმოწერებით დასაბუთება. ჯგუფის წევრების რაოდენობა 5-10 ადამიანი.

ადგილობრივი ინიციატივა/LOCAL INITIATIVE

4 ეტაპი ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფების გაძლიერება (ეტაპი გრძელდება პროექტის დასრულებამდე)	1. თემში მუდმივმოქმედი მუშა ჯგუფის შექმნა გამოწვევებზე რეაგირებისთვის	• საინიციატივო ჯგუფის წევრებისთვის მიზნობრივი ცოდნის და უნარების გადამცემა ტრენინგების მეშვეობით • საქმიანობის ყოველ ეტაპზე საინიციატივო ჯგუფის წევრების მაქსიმალურად შესაძლებელი მონაწილეობა • საინიციატივო ჯგუფთან მუდმივი კომუნიკაცია და კონსულტაცია • საჭიროებიდან/მოთხოვნილებიდან გამომდინარე შესაძლებელია ადგილობრივი საინიციატივო ჯგუფის იურიდულ პირად გაფორმება
5 ეტაპი თემში არსებული გამოწვევების იდენტიფიცირება და ანალიზი	1. პროექტის ფარგლებში გადასაჭრელი პრობლემის/პრობლემების გამოკვეთა 2. საინიციატივო ჯგუფისთვის მომავალი აქტივობების გამოკვეთა	• თემში არსებული საერთო გამოწვევების ჩამონათვალის შექმნა; გამოკვეთილ გამოწვევებზე რეაგირების გეგმის შემუშავება; რესურსებიდან და შესაძლებლობებიდან გამომდინარე პროექტის ფარგლებში რეაგირებისთვის ერთი/რამდენიმე პრობლემის შერჩევა; პროექტის ფარგლებში რეაგირებისათვის შერჩეული პრობლემის და მასზე რეაგირების გეგმის შესახებ თემის ყველა წევრის ინფორმირება; მუნიციპალიტეტის მერის და მერიის შესაბამისი სამსახურების ინფორმირება • პროექტის ფარგლებში რეაგირების გარეშე დარჩენილი გამოწვევების სრული ანალიზი და მათზე რეაგირების გეგმის შემუშავება (დაინტერესებული მხარეები, საჭირო რესურსები, ადვოკატირების კამპანია), პროექტების შემუშავება
6 ეტაპი თემში არსებულ ერთ/რამდენიმე გამოწვევაზე რეაგირება	1. თემში წარმატებული მაგალითის შექმნა და განვრცობა განვითარების ადგილობრივი და გარე აქტორების ჩართულობით 2. ადგილზე ცხოვრების დონის გაუმჯობესება	• პროექტის ფარგლებში რეაგირებისათვის შერჩეული გამოწვევის საპასუხოდ შექმნილი გეგმის მიხედვით მოქმედება (რესურსების მობილიზება/მოძიება, ადვოკატირება, სამუშაოების დაგეგმარება); ყველა შესაძლო აქტორის ჩართვა (ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლება, ბიზნესი, არასამთავრობო სექტორი). • თემის წევრათა მაქსიმალურად შესაძლო მონაწილეობით სამუშაოების წარმოება/დასრულება

ადგილობრივი ინიციატივა/LOCAL INITIATIVE

7 ეტაპი. შიდა შეფასება (მონიტორინგი და მიმდინარე შეფასება ხორცილდება პროექტის ყველა ეტაპზე)	1. ადგილობრივ განვითარებაზე მიმართული პროგრამების ხარისხის გაუმჯობესება; ახალი მიგნებების სამომავლოდ გათვალისწინება	• საპროექტო ჯგუფის მიერ მონიტორინგის და შეფასების გეგმის შედგენა, კრიტერიუმების განსაზღვრა (პროექტის საწყისი ეტაპი) • საპროექტო გუნდის მიერ პროექტის განმავლობაში მონიტორინგის წარმოება და შედეგების განხილვა • ანალიზისთვის პროექტის მსვლელობის და შედეგების განხილვა პროექტში ჩართულ ყველა მხარესთან - თემი, საინიციატივო ჯგუფი, მუნიციპალური ორგანოები. • დასაწყისში განსაზღვრული კრიტერიუმებით პროექტის შედეგების შეფასება • შესაძლო დამატებით გამოვლენილი დადებითი და უარყოფითი ფაქტორების, რისკების, პროცესების იდენტიფიცირება და ანალიზი
---	--	---